# ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №22
## 2018 წლის 26 იანვარი

## ქ. ტყიბული

**„ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 6 დეკემბრის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

**მუხლი 1**

„ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 6 დეკემბრის №34 დადგენილებაში (www. matsne.gov.ge, 12.12.2017 წ., 010250050.35.125.016255) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) ამოღებულ იქნეს მე-4 მუხლი.

ბ) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 7. სამსახურის დებულების მიღება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა**

1. სამსახურის დებულებას მერის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულო, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ დადგენილი წესით.

2. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოქვეყნებისთანავე.

**ტყიბულის მუნიციპალიტეტის**
**საკრებულოს თავმჯდომარე** **ნატალია კობახიძე**